

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

__18__ . __12__ 2014 წელი

2 ეგზ.

შუახვევის მუნიციპალიტეტი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 29/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჟ ე ვ ი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	5
დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	8
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	8
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	14
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	14
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	15
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	16

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

შუახვევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა შუახვევის მუნიციპალიტეტის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში შემოსულობებისა და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შუახვევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა

იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ხარჯების ნაწილში, ბალანსში აღრიცხული 78 840 ლარი არასწორად არის მიკუთვნებული სუბსიდიის ხარჯებზე, რომელიც ფინანსური აღრიცხვის ხარვეზებზე მიუთითებს.

2013 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, თვითმმართველი ერთეულის დეპუტატების სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯები 78 840 ლარი, საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების მუხლის ნაცვლად, დაფინანსებულია სუბსიდიის მუხლით, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მე-4 თავის მოთხოვნები.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შუახვევის მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა


შემოსულობები

დაზუსტებული ბიუჯეტით, მუნიციპალიტეტის 2013 წლის შემოსულობები და შემოსავლები განისაზღვრა 5 328 696 ლარით. ფაქტობრივი შემოსულობები შეადგენს 5 616 155 ლარს (გეგმის 105.4%), მათ შორის შემოსავლები შეადგენს 5 602 913 ლარს (გეგმის 105.1%), ხოლო გეგმაში გაუთვალისწინებლობის პირობებში, არაფინანსური აქტივების კლების სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 13 242 ლარს.

შემოსავალი

დაზუსტებული ბიუჯეტით, 2013 წლის შემოსავლების გეგმა შეადგენს 5 328 696 ლარს, ფაქტობრივი საკასო შესრულება შეადგენს 5 602 913 ლარს, ანუ გეგმის 105.1%. გეგმის გადაჭარბებით შესრულების პირობებში, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადში გეგმა შესრულდა 15 %-ით, (გეგმა 800 ლარი, საკასო შესრულება 120 ლარი), ხოლო გრანტების ნაწილში 99,9%-ით (გეგმა 5 078 740 ლარი, საკასო შესრულება 5 074 723 ლარი).

შემოსავლების საკასო შესრულება წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით.



გეგმის შესრულება წარმოდგენილი ცხრილის სახით.

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა გეგმა-საკასო
შემოსულობები	5,328.696	5,616.155	-287.459
შემოსავლები	5,328.696	5,602.913	-274.217
არაფინანსური აქტივების კლება	0.000	13.242	-13.242
შემოსავლები	5,328.696	5,602.913	-274.217
გადასახადები	128.256	196.540	-68.284
ქონების გადასახადი	128.256	196.540	-68.284
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	122.956	184.507	-61.551


ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.800	0.120	0.680
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე		1.114	-1.114
არასასოფლო-სამეურნეოდანიშნულების მიწაზე	4.500	10.799	-6.299
სხვა გადასახადები			0.000
გრანტები	5,078.740	5,074.723	4.017
სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	5,078.740	5,074.723	4.017
გამოთანაბრებითი ტრანსფერი	3,417.200	3,417.220	-0.020
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	1,031.408	1,031.158	0.250
სპეციალური ტრანსფერი	630.132	626.345	3.787
მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	3.440		3.440
მ.შ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	626.692	626.345	0.347
სხვა შემოსავლები	121.700	331.650	-209.950
შემოსავლები საკუთრებიდან	90.000	202.990	-112.990
პროცენტები	30.000	135.603	-105.603
რენტა	60.000	67.387	-7.387
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	60.000	67.022	-7.022
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან		0.365	-0.365
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	11.500	-8.064	19.564
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	6.500	-19.966	26.466
სანებართვო მოსაკრებელი	1.500	0.751	0.749
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი		0.063	-0.063
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი		-27.955	27.955
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	5.000	7.175	-2.175
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5.000	11.902	-6.902
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5.000	11.902	-6.902
ჯარიმები, სანქციები და საურავები	20.200	129.441	-109.241
შერეული და სხვა		7.283	-7.283
არაკლასიფიცირებული შემოსავლები			
არაფინანსური აქტივების კლება	0.000	13.242	-13.242
ძირითადი აქტივები		13.148	-13.148
არაწარმოებული აქტივები	0.000	0.094	-0.094
მიწა		0.094	-0.094

გაწეული ხარჯი

მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს გაწეულია 5 397 123 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის:

- **შრომის ანაზღაურება** - 1 779 019 ლარი (გეგმის 100%), მათ შორის თანამდებობრივი სარგო 1 332 198 ლარი, პრემია 446 820 ლარი, რაც თანამდებობრივი სარგოს 33,54%-ა. პრემიების გაცემა ხდებოდა თითოეულ თანამშრომელზე რიგ შემთხვევებში თვეში საშუალოდ თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ოდენობით, ხოლო ყოველკვარტალურად, თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.
- **საქონელი და მომსახურება** - 704 401 ლარი (გეგმის 76,04 %), მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 44 051 ლარი, მივლინება - 17 911 ლარი, ოფისის ხარჯები - 130 356 ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯები - 7 547 ლარი, ტრნასპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები -114 946 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 389 591 ლარი.
- **სუბსიდია** - 1 160 938 ლარი (გეგმის 97.79%). აღნიშნული მუხლით ძირითად ფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირები
- **სოციალური უზრუნველყოფა** - 242 477 ლარი (გეგმის 89.89%). აღნიშნული მუხლით, მუნიციპალიტეტის მიზნობრივი პროგრამების შესაბამისად, დაფინანსებულია სოციალური დახმარებები.
- **არაფინანსური აქტივების ცვლილება** -1 510 288 ლარი (გეგმის 76.58%).

ბიუჯეტის საკასო შესრულება წარმოდგენილია დიაგრამის სახით



დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, შუახვევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. მუნიციპალიტეტის მიერ, პროგრამებისა და ღონისძიებების არასათანადო დაგეგმვის, მიმწოდებელზე სახელშეკრულებო პირობების დარღვევისათვის არასათანადო რეაგირების შედეგად, 2013 წლის ბიუჯეტიდან განუხორციელებელია ერთი მიზნობრივი პროგრამა და შეუსრულებელია 56 162 ლარის ღირებულების სამუშაოები.

ხიჭაურის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტ ინდ. მეწარმე „ნანი შავაძესთან“ 2013 წლის 31 ოქტომბერს გაფორმებულია N249 ხელშეკრულება, 79500 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. ხელშეკრულებით სამუშაოს დასრულება გათვალისწინებულია 2013 წლის 15 დეკემბრამდე პერიოდში. იმ პირობებში, როდესაც აღნიშნულ ვადაში მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა მთლიანი სამუშაოს მხოლოდ 23 337,89 ლარის ღირებულების (29,3%) სამუშაოები, სამუშაოს შესრულების ვადის გასვლის შემდეგ, 2013 წლის 30 დეკემბერს მხარეებს შორის გაფორმებულია შეთანხმება და სამუშაოს შესრულების ვადა განსაზღვრულია 2014 წლის 15 აპრილამდე. შეთანხმების საფუძველად

ადებულია დიდთოვლობა, დაბალი ტემპერატურა და 2014 წლის იანვარსა და თებერვალში დიდთოვლობის შესაძლო გაგრძელება, თუმცა შესყიდვის ეტაპზე, ხელშეკრულებაში მითითებულ დროში არსებული ხელშემშლელი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ იქნა წარმოდგენილი, ხოლო თვით შეთანხმება სისტემაში ატვირთულია 2014 წლის 16 იანვარს¹. მიუხედავად აღნიშნულისა, მიმწოდებლის მიერ კვლავ არ იქნა შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და საბოლოოდ 2014 წლის 14 მაისს (შეთანხმებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ) შეწყვეტილია ხელშეკრულება².

2. დაგვა-დასუფთავების მომსახურებისათვის ელექტრონული ტენდერის შედეგებით, მიმწოდებლის არსებობის პირობებში, შეძენის აუცილებლობის შესაბამისი დასაბუთების გარეშე, დამატებით, გამარტივებული შესყიდვით 4 915,5 ლარის ღირებულების ინვენტარისა და ტანსაცმელის შეძენა, საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიკურ განკარგვაზე მიუთითებს.

შუახვევის დაბისა და ხიჭაურის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების მომსახურების შესყიდვაზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, 2013 წლის 31 იანვარს გაფორმებულია N26 ხელშეკრულება (SPA 130001614), 64 995 ლარის ღირებულების მომსახურების შესყიდვაზე. ხელშეკრულების შემადგენელი ხარჯთაღრიცხვის და მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, მიმწოდებელს შესრულებული აქვს ყოველდღიური დაგვა/დასუფთავება, სამშენებლო ნაგვის გატანა და თოვლის საფარისაგან გაწმენდითი სამუშაოები. აღნიშნული მომსახურების არსებობის პირობებში, შეძენის აუცილებლობის შესაბამისი დასაბუთების გარეშე, მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 14 მარტს, ორ შემთხვევაში, N46 და N47 ხელშეკრულებებით განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვა,³ დამატებით შეძენილია 4 915,5 ლარის ღირებულების ინვენტარი/ტანსაცმელი და გადაცემულია იმ მეზობლებზე და მოსამსახურეებზე, რომლებიც დასაქმებული არიან მიმწოდებელთან და ელექტრონული ტენდერის შედეგებით ასრულებენ ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების მომსახურებას.

3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გარე განათების ქსელისა და სანათი წერტილების ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის მომსახურების განხორციელებისას არ არის იდენტიფიცირებული ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტებში სანათი

¹სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ცატარების წესის“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.

² მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 14 მაისის N1-053 ბრძანება. დაკისრებულია სანქცია 3 257,4 ლარი.

³ ხელშეკრულება N46-14/03/2013 წელი-2 460,5 ლარი - 470 ცალი ცოცხი, 23 ცალი ბარი, 10 ცალი ურიკა; ხელშეკრულება N47-14/03/2013წელი-2 455 ლარი -20 წყვილი ლაბადა, უნიფორმა, ფეხსაცმელი, კეპი, აგრეთვე 300 ცალი ხელთათმანი.

წერტილების ყოველთვიური ჩართვის ხანგრძლიობა, ფაქტიურად გაწეული და გასაწევი მომსახურების აღიცხვა, რომელიც შესყიდვების მართვის ხარვეზებზე მიუთითებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გარე განათების ქსელისა და სანათი წერტილების ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA130001612) მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი შპს „ბერა 2012“, რომელიც შემდგომში გამარჯვებულად იქნა აღიარებული და გაფორმებულია N25 ხელშეკრულება, 22 770 ლარის ღირებულების მომსახურებაზე. სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შემადგენელი ხარჯთაღრიცხვით ირკვევა, რომ 14 411,9 ლარით (დარიცხვების ჩათვლით) მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს გარე განათების ქსელისა და სანათი წერტილების ექსპლუატაცია და მოვლა - პატრონობის მომსახურება, ხოლო 8 357,68 ლარით სხვადასხვა სახის სამონტაჟო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. იმ პირობებში, როდესაც სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული იყო ცალკეულ თვეებში გარე განათების წერტილებზე ყოველთვიურად ჩართვის ხანგრძლივობის გრაფიკი, აღნიშნული პირობა არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების შემადგენელ, 7457 ლარის ღირებულების მომსახურების ხარჯთაღრიცხვაში. ანალოგიურად არ არის გამიჯნული რა სახის მომსახურებას მოიცავს სანათი წერტილების ექსპლუატაცია და მოვლა-პატრონობის მომსახურება. მხარეებს შორის ყოველთვიურად შედგენილ შესრულებული სამუშაოს აქტში (ჯამურად ერთიანი თანხით აღებულია მომსახურების ღირებულება) არ არის გამიჯნული, თუ რა სახის მომსახურება განახორციელა მიმწოდებელმა და რომელ უბანზე.

4. სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურებისათვის ხელშეკრულებაში და სამუშაოს შესრულების აქტებში მოსარგებლე ბენეფიციართა იდენტიფიცირების გარეშე 1 750 ლარის ხარჯვა, საბიუჯეტო რესურსის მართვის არაეფექტიანობაზე მიუთითებს.

შუახვევის მუნიციპალიტეტის მიერ, უფასო სასადილოს 7 ბენეფიციართა სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურების შესყიდვის მიზნით 2013 წლის 11 ნოემბერს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA130024448) მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი შპს „კლინიკა ჯანმრთელობა“, რომელთანაც 2013 წლის 25 ნოემბერს გაფორმებულია 1 750 ლარის მომსახურებაზე N 259 ხელშეკრულება. იმ პირობებში, როდესაც უფასო სასადილოს პროგრამით სარგებლობდა სოციალურად დაუცველი 42 მოქალაქე⁴, შემსყიდველის მიერ საწყის სატენდერო წინადადებაში, ხელშეკრულებაში, შემსრულებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოს აქტებში და მხარეებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებშიც არ არის იდენტიფიცირებული პროგრამით ფაქტობრივად მოსარგებლე ბენეფიციარები.

⁴ SPA 130004096, ხელშეკრულება N37-25/02/2013 წელი.

5. დაბა შუახევის კეთილმოწყობის სამუშაოების უსაფუძვლოდ გამარტივებული შესყიდვით განხორციელება, საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიკურ განკარგვაზე მიუთითებს.

დაბა შუახევის კეთილმოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვა და 2013 წლის 28 ნოემბერს, ინდ. მეწარმე „ბეჟან დიასამიძესთან“ გაფორმებულია N 265 ხელშეკრულება 12 975 ლარის სამუშაოების შესრულებაზე. სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 12 დეკემბრამდე პერიოდი. იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებელს 2013 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით შესრულებული ჰქონდა მთლიანი სამუშაოს მხოლოდ 23% (2 975 ლარი), გაფორმებულია შეთანხმება და სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა 2013 წლის 15 აპრილამდე. მუნიციპალიტეტის მიერ, გამარტივებული შესყიდვა განხორციელებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით⁵, თუმცა გადაუდებელი აუცილებლობისა და გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად, სამუშაოების მოცულობებთან დაკავშირებით, შესაბამისი მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი, ხელშეკრულება კი გაფორმებულია სამუშაოს სრულ ღირებულებაზე.

6. შუახევის მუნიციპალიტეტის ნიგაზეულის, ნენიისა და წყაროთის სოფლებში წყლის საძიებო-ჰიდროგეოლოგიური ჯაბურღილების მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით, სათანადო დასაბუთების გარეშე, სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდა, საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიულ განკარგვაზე მიუთითებს.

შუახევის მუნიციპალიტეტის ნიგაზეულის, ნენიისა და წყაროთის სოფლებში წყლის საძიებო-ჰიდროგეოლოგიური ჯაბურღილების მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით, შპს „Drill Master“-თან 2013 წლის 25 სექტემბერს გაფორმებულია N224 ხელშეკრულება (SPA130020116). სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 72 950 ლარს, სამუშაოების დასრულება გათვალისწინებულია 2013 წლის 20 ნოემბრამდე⁶, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა კი დასაშვებია, თუ რაიმე წინაწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა. იმ პირობებში, როდესაც წარმოდგენილი დოკუმენტებით მიმწოდებელს 2013 წლის 19 ნოემბერამდე შესრულებული აქვს მხოლოდ 18 647 ლარის ღირებულების სამუშაოები⁷ (25,5 %), ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ერთი კვირაში ვერ იქნა შესრულებული 15 000 ლარის ღირებულების სამუშაოები. მიმწოდებლის მიერ არ იქნა გავრცელებული

⁵ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა; ასეთ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის რაოდენობა, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს;

⁶ ხელშეკრულება N224, მუხლი N5.1

⁷ სულ 2013 წელში შესრულებული აქვს მხოლოდ 18 647 ლარის სამუშაოები.

საჯარიმო⁸ სანქციები⁹. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, 2013 წლის 20 ნოემბერს მხარეებს შორის გაფორმებულია N1 შეთანხმება და სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2013 წლის 25 დეკემბრამდე პერიოდი. ანალოგიურად, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, 2013 წლის 30 დეკემბერს კვლავ გაფორმებულია N2 შეთანხმება და სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 15 აპრილამდე პერიოდი. ორივე შეთანხმება დაგვიანებითაა ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. კერძოდ, N1 შეთანხმება ატვირთულია 2014 წლის 16 იანვარს, ხოლო მეორე შეთანხმება 27 თებერვალს¹⁰. შეთანხმებებში სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელების მოტივად აღებული გარემოება ზოგადი ხასიათისაა. პირველ შეთანხმებაში მითითებულია, „გარკვეული ობიექტური მიზეზები“, თუმცა რა ხელშემშლელი გარემოება გახდა სამუშაოს შეუსრულებლობის მოტივი გაურკვეველია, ხოლო მეორე შეთანხმებაში მოტივად აღებულია იანვარსა და თებერვალში მოსალოდნელი დიდთოვლობა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შემსყიდველის მიერ მიწოდების ვადის გაგრძელება უსაფუძვლოა და მიმწოდებელზე 4 902,76 ლარის პირგასამტეხლოს¹¹ დაკისრების თავიდან აცილებაზე მიუთითებს.

7. შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფლებში სარწყავი არხების მოვლა-შენახვის მომსახურებისათვის, შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, გადახდილია 43 999 ლარი, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვაზე მიუთითებს.

შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფლებში სარწყავი არხების მოვლა-შენახვის მომსახურებისათვის, 2013 წლის 1 მაისს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ნაციმციმელი“ და 2013 წლის 15 მაისს გაფორმებულია N 74 ხელშეკრულება (SPA 130009947) 43 999 ლარის ღირებულების მომსახურებაზე. სატენდერო დოკუმენტაციით და ხელშეკრულებით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს მოქმედი 243 კმ სიგრძის, 39 სარწყავი არხის 4 თვის განმავლობაში პერიოდულად რეაბილიტაცია, ყოველდღიური მოვლა-პატრონობა და დაზიანებისაგან დაცვა. უნდა აღინიშნოს, რომ საწყის ეტაპზე შემსყიდველის მიერ სატენდერო წინადადებაში, ხელშეკრულებაში და შემდგომში სამუშაოს შესრულების აქტებშიც არ არის გამიჯნული, თუ კონკრეტულად რა სახის რეაბილიტაციის

⁸ 15 000 ლარის ღირებულების სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2013 წლის 3 ნოემბრამდე, დასრულდა ნაწილობრივ 19 ნოემბერს, ვადაგადაცილება შეადგენს 16 დღეს, ერთ დღეზე პირგასამტეხლო შეადგენს $15000 \cdot 0,2\% = 30$ ლარს, სულ პირგასამტეხლო $30 \cdot 15 = 450$ ლარს.

⁹ მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი. გრაფიკით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევისათვის ეკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების 0,2%.

¹⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ცატარების წესის“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.

¹¹ სულ შესასრულებელია 72 950 ლარის, შესრულებულია 19/11/2013 წ.- 18 647 ლარის, რჩება შეუსრულებელი აუდიტის პერიოდში 54 302 ლარის. ვადაგადაცილება 20/11/2013-დან 31/12/2013 მდე 41 დღე. $54302 \cdot 0,2\% \cdot 41 = 4452,7$ ლარი + N7 სქოლიო 450 ლარი, სულ 4 902,76 ლარი.

განხორციელების ვალდებულება (ექნებოდა) აქვს მიმწოდებელს, რა საქმიანობის განხორციელებას მოიცავს ყოველდღიური მოვლა-პატრონობა და დაზიანებისაგან დაცვა. მიმწოდებლის მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილ სამუშაოს შესრულების აქტებში (მიღება-ჩაბარების აქტები) მითითებულია მხოლოდ საერთო სახელშეკრულებო ღირებულების პროპორციული თანხა, რომლის საფუძველზეც სახელშეკრულებო ღირებულება სრულად არის გადახდილი.

8. დაბა შუახევში, სპორტული კომპლექსის მშენებლობის სამუშაოების არასათანადო დაგეგმვა, პრეტენდენტთა შესაძლო შეზღუდვაზე და შესყიდვების მართვასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

დაბა შუახევში, სპორტული კომპლექსის მშენებლობის სამუშაოებთან დაკავშირებით, 2012 წლის 20 ივნისს შპს „ბათ.მშენებელთან“ გაფორმებულია N163 მრავალწლიანი ხელშეკრულება, 1 050 000 ლარის სამუშაოების შესრულებაზე, მათ შორის 2012 წელს - 854 741,36 ლარის და 2013 წელს - 195 258,64 ლარის. ხელშეკრულებით მთლიანი სამუშაოების დასრულება გათვალისწინებულია 2013 წლის 1 ივლისამდე პერიოდში. მიღება-ჩაბარების კომისიის სხდომის 2013 წლის 19 აგვისტოს N5 ოქმით დადასტურებულია სამუშაოების დასრულება. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტიზა განხორციელებულია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ, ხოლო მიმწოდებელს გადახდილი აქვს პირგასამტეხლო 81492,2 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებაში ორ შემთხვევაში განხორციელდა ცვლილება. პირველ შემთხვევაში 2013 წლის 28 ივნისს გაფორმებული N1 შეთანხმებით, 51 შემთხვევაში გაიზარდა და შემცირდა შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები, შესაბამისად შეიცვალა ერთეული სამუშაოს ღირებულებები, გასწორებულია ხარჯთაღრიცხვაში ერთეულ ფასსა და საბოლოო ფასს შორის სხვაობები (ხარჯთაღრიცხვის 27-ე პუნქტში ლითონის სამონტაჟო კონსტრუქციები 197,78 კგ X 3,18ლარი ჯამში ნაცვლად 628,94 ლარისა, ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია 4 031,18 ლარი და სხვა), გარკვეული სამუშაოები საერთოდაა ამოღებული (ხარჯთაღრიცხვის 28-ე, 29-ე, 30-ე პუნქტი და სხვა). მიუხედავად აღნიშნულისა, ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებულ მოცულობებსა და საპროექტო მოცულობებს შორის სხვაობების გასწორების მოტივით, 2013 წლის 1 ივლისს კვლავ გაფორმებულია N2 შეთანხმება, წარმოდგენილია კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და შეცვლილია სამუშაოს შესრულების ვდა.

9. მუნიციპალიტეტის მიერ, გაჭირვებულ ოჯახებზე და გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამის მართვა, არაერთგვაროვანი მიდგომით არის განხორციელებული.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 21 დეკემბრის N67 განკარგულებით დამტკიცებულია „განსაკუთრებულ შემთხვევებში მოსახლეობაზე ერთჯერადი

მატერიალური დახმარების განხორციელების” მიზნობრივი პროგრამა 22 000 ლარის ოდენობის ბიუჯეტით, ხოლო 2012 წლის 21 დეკემბრის N68 განკარგულებით დამტკიცებულია „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების” მიზნობრივი პროგრამა (ცვლილების გათვალისწინებით) 25 000 ლარის ოდენობის ბიუჯეტით. ორივე შემთხვევაში პროგრამის ძირითადი მიზანია გაჭირვებულ ოჯახებზე მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა. ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმად განსაზღვრულია საცხოვრებელი ადგილი და ოჯახის სარეიტინგო ქულა.

ბენეფიციართა შერჩევას ახდენს მუნიციპალიტეტის სოციალურ საკითხთა კომისია, რაზედაც შედგენილია შესაბამისი ოქმები. აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტებით, პროგრამით სარგებლობისათვის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 578 მოქალაქის განცხადება¹², საიდანაც დაკმაყოფილდა 319 განცხადება, ხოლო უარი ეთქვა 259 მოქალაქეს და გაეგზავნა პასუხი, რომ „თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის სიმცირის გამო“. ცალკეულ პერიოდში, ორივე პროგრამის განხილვისას კომისიის მიერ შედგენილია ერთი ოქმი, სადაც მითითებულია მხოლოდ თუ ვინ დაკმაყოფილდა, მაგრამ არ არის იდენტიფიცირებული ცალკეულ პერიოდში შემოსული და განხილული განცხადებების რაოდენობა, არსებული ბიუჯეტის ლიმიტი, განმცხადებელთა ვინაობა, ვინ არ იქნა დაკმაყოფილებული, უარის თქმის მოტივი, აგრეთვე არ არის მითითებული დაკმაყოფილებულ ბენეფიციართა სარეიტინგო ქულები და შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისტემატურად ერთ და იმავე დროს შემოსული რამდენიმე განცხადებიდან ნაწილი დაკმაყოფილებულია, ნაწილს ბიუჯეტის სიმცირის მოტივით უარი ეთქვა, თუმცა მეორე და შემდგომ დღეებში დაკმაყოფილებულია სხვა განცხადებები¹³.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, შუახევის მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

✓ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სასოფლო გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხარჯთაღრიცხვაში და საბოლოოდ სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის მითითებული

¹² გაჭირვებულ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა 468 მოქალაქე, გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის მატერიალური დახმარების პროგრამა 110 მოქალაქე.

¹³ 2012 წლის 23 იანვარს შემოსულია 3 განცხადება, ერთი დაკმაყოფილდა, უარი ეთქვა ორს, თუმცა მეორე დღეს 24 იანვარს დაკმაყოფილებულია სხვა განცხადება. ანალოგიურად 2012 წლის 26 იანვარს შემოსულია ორი განცხადება ერთს ეთქვა უარი ბიუჯეტის სიმცირის გამო, თუმცა 27 იანვარს დაკმაყოფილებულია სხვა განცხადება და ა.შ.

შესასრულებელი და შესრულებული სამუშაოების კონკრეტული უბანი (პიკეტაჟი) და გზის სიგრძე, რაც შესყიდვების მართვასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე მიუთითებს, სახელდობრ:

- სოფელ ბუთურაულში, გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით 2013 წლის 16 აგვისტოს გაფორმებულია N144 ხელშეკრულება ინდ. მეწარმე „დიმიტრი მიქელაძესთან“ 12 475 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. ხელშეკრულების შემადგენელ ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია მხოლოდ სამუშაოს დასახელება და გამოსაყენებელი მასალის მოცულობა.

- სოფელ წყაროთაში, გზის რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით 2013 წლის 23 სექტემბერს გაფორმებულია N223 ხელშეკრულება ინდ. მეწარმე „რეზო ბედინაძესთან“ 13 635 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. ხელშეკრულებაში და შემადგენელ ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია მხოლოდ სამუშაოს დასახელება და მოცულობა.

- სოფელ მაწყვალთა-კარაპეტის გზის რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით, 2013 წლის 17 სექტემბერს გაფორმებულია N213 ხელშეკრულება ინდ. მეწარმე „გენადი მიქელაძესთან“ 13 567 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. ხელშეკრულებაში და ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია მხოლოდ სამუშაოს დასახელება და მოცულობა.¹⁴

✓ მუნიციპალიტეტის მიერ, აუდიტის პერიოდში შესყიდული მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელებულია მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტული სამუშაოს შესრულებისას მიმწოდებელი და დამკვეთი ურთიერთდამოკიდებული პირები არიან, მესამე მხარის მიერ არ არის დადასტურებული შესასრულებელი და შესრულებული სამუშაოების შესაბამისობები, რაც შემსყიდველისთვის იქნებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დამატებითი კონტროლის საშუალება.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ნადიმ ბოლქვაძე
/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

რამაზ დიასამიძე
/აუდიტორ-ასისტენტი/
18/12/2014 წელი.

¹⁴ ანალოგიური სახის დარღვევებია ხელშეკრულება N 218-18/09/2013წ-10 972 ლარი, N183-26/08/2013წ-10567 ლარი, N167-27/08/2013წ-7 969 ლარი და სხვა.

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

შეასყეს მსხვილადიჯგუფი

დასახელება	2013 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგება		2013 წლის წლიური კაპიტალიზაციის ანგარიშგება		2013 წლის წლიური საბიუჯეტო ანგარიშგება	
	სულ	შპს შპსის სას. ბიუჯეტის ფინანსები	სულ	შპს შპსის სას. ბიუჯეტის ფინანსები	სულ	შპს შპსის სას. ბიუჯეტის ფინანსები
შეზღუდვები	5,261,488	630,132	5,328,696	630,132	5,602,913	626,345
გადასახდები	128,256		128,256		186,540	
გრანტები	5,011,532	630,132	5,078,740	630,132	5,074,723	626,345
სხვა შეზღუდვები	121,700		121,700		331,650	
ხარჯები	4,136,444	3,440	4,203,692	3,440	3,885,835	0,000
შრომის ინახდებულება	1,795,038	0,000	1,795,038	0,000	1,779,019	0,000
საქონელი და მომსახურება	926,335	0,000	926,335	0,000	704,401	0,000
პროცენტი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
ხელშეწყობები	1,187,061	3,440	1,187,061	3,440	1,360,938	0,000
გრანტები	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
სადასახურადი უზრუნველყოფა	181,050	0,000	269,723	0,000	242,477	0,000
სხვა ხარჯები	47,400	0,000	25,555	0,000	0,000	0,000
საბიუჯეტო ხელფასი	1,125,004	626,692	1,125,004	626,692	1,716,078	626,345
არაფინანსური აქტივების ცვლილებები	1,971,912	626,692	1,971,912	626,692	1,590,288	626,345
ზრდა	1,971,912	626,692	1,971,912	626,692	1,523,530	626,345
კლება	0,000		0,000		13,242	
მთლიანი ხელფასი	-846,908	0,000	-846,908	0,000	205,790	0,000
ფინანსური აქტივების ცვლილებები	-856,478	0,000	-856,478	0,000	196,220	0,000
ზრდა	0,000	0,000	0,000	0,000	196,220	0,000
კლება	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
ფინანსური აქტივების ცვლილებები	-856,478	0,000	-856,478	0,000	0,000	0,000
ზრდა	856,478	0,000	856,478	0,000	0,000	0,000
კლება	0,000		0,000		0,000	
ფინანსური აქტივების ცვლილებები	0,000		0,000		0,000	
სხვა ფინანსური დავალებები	0,000		0,000		0,000	
კაპიტალიზაციის ცვლილებები	-9,570	0,000	-9,570	0,000	-9,570	0,000
ზრდა	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
საბიუჯეტო	0,000		0,000		0,000	
საშინაო	0,000		0,000		0,000	
კლება	9,570	0,000	9,570	0,000	9,570	0,000
საბიუჯეტო	4,570	0,000	9,570	0,000	9,570	0,000
საშინაო						
ზრდა	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

ნაშთის ცვლილებები

-856,478

-856,478

196,220

ნაშთი წლის დასაწყისისათვის

856,478

ნაშთი საინტეგრაციო პერიოდის ბიუჯეტისათვის

1,052,698

სამსახურის უფროსი

შუახვევის მუნიციპალიტეტის შემოსულობები

დასახელება	შემოსულობის გადასახადები	2013 წლის წლიური დამატებული ბაზი	2013 წლის წლიური დაზღვევული ბაზი	2013 წლის წლიური შემოსულობები
შემოსულობები		5,261,488	5,328,696	5,616,155
შემოსულობები	1	5,261,488	5,328,696	5,602,913
არაფინანსური აქტივების კლება	31	0.000	0.000	13,242
ფინანსური აქტივების კლება	32	0.000	0.000	0.000
გადაღებულობების ზრდა	33	0.000	0.000	0.000
შემოსულობები		5,261,488	5,328,696	5,602,913
გადასახადები	34	128,256	128,256	196,540
საშემოსულო გადასახადი	1011			
ქონების გადასახადი	1011	128,256	128,256	196,540
